ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ№ 139

ქ. ბათუმი 19 დეკემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, შპს **"ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** ს/კ: 406049823 (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმომადგენილი ბათუმის სერვის ცენტრის ოფის მენეჯერის **სოფიო შამანაძის** სახით და მეორე მხრივ, ააიპ "ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო" ს/კ 445475405 (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის **ალექსანდრე თევზაძის** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსყიდველი მიმწოდებლისაგან ყიდულობს 2 (ორი) ცალ GPRS საკონტროლო სალარო აპარატს (შემდგომში - სსა), მოდელი: Daisy e.Xpert (CPV 30142200,) (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი") წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2. სსა-ს სააბონენტო, საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების საფასური განისაზღვრება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ცალკე გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. სახელშეკრულებო ღირებულება და ანგარიშსწორება

2.1. ორი ცალი სსა-ს ღირებულება შეადგენს **780 (შვიდასოთხმოცი)** ლარს. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **780 (შვიდასოთხმოცი) ლარს.**

2.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მუხლის 2.1 პუნქტში აღნიშნული სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისა, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) და სასაქონლო ზედნადების წარდგენიდან 05 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.5. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით საკონტროლო სალარო აპარატისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

4. შესყიდვის ობიექტის გადაცემა

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილს წარმოადგენს მიმწოდებლის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი - თბილისი, ვაჟა -ფშაველას გამზირი N45.

4.2. შემსყიდველმა საქონლის მიღება უნდა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3. მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია სააგენტოს მთავარი მოლარე იამზე ალანია პ/ნ 61001040615

4.4. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

5.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

5.1.2. შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს ინფორმაცია საქონლის შესახებ.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1. დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები;

5.2.2. დროულად გადაიხადოს შესყიდვის ობიექტის საფასური.

5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.3.1. მოითხოვოს შემსყიდველისაგან შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადახდა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1.მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;

5.4.2 ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებითა და სხვა.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ,ფორს-მაჟორის არსებობის თაობაზე სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს დამადასტურებელი ცნობის (წერილის) თანდართვით, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული გზები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

6.4. ფორს-მაჟორულ გარემოებად არ ჩაითვლება ისეთი მოვლენები, რომელთა მოსალოდნელი დადგომის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი მხარისთვის, წინასწარ ცნობილი იყო და/ან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, საქონლის მიწოდების ვადაა 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით და მოქმედებს 2018 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

8.2. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს სრულად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 კალენდარული დღით ადრე.

8.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.5. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა

გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

მიმწოდებელი :

შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"
ს/კ: 406049823
(032) 2 500 111
http://gsn.com.ge
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE52LB0113144021146000

შემსყიდველი:

ააიპ "ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო"
საიდენტიფიკაციოკოდი: 445475405
მისამართი:ქ. ბათუმი, ლუკაასათიანის 25.
ტელეფონი: 577722229
სახელმწიფო ხაზინა:
სახაზინო კოდი: 749679921

წარმომადგენელი: სოფიო შამანაძე

დირექტორი: ალექსანდრე თევზაძე